თბილისის „დინამო“ — სსრ კავშირის თასის მფლობელი

27-ე წუთი, ყიფიანი — 1:0
64-ე წუთი, კანთელაძე — 2:0
68-ე წუთი, ჩელებაძე — 3:0

გუშინ, 3 სექტემბერს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მთავარ სარბიელზე სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა გუნდები. პირველ წუთებზე არარატელებმა აქტიურად შეუტიეს თბილისელთა კარის მისადგომებს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგ თამაშის სადავეები ხელთ იგდეს დინამოელებმა და „არარატის“ მეკარე ოვსეპიანს რამდენჯერმე მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება. და მაინც, იგი იძულებული გახდა ბურთი გამოეტანა საკუთარი კარის ბადედან: 27-ე წუთზე ყიფიანის თავური დარტყმა მოხვდა მიზანს — 1:0.

თუ კი პირველი ტაიმი თბილისელთა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, შესვენების შემდეგ ერევნელმა ფეხბურთელებმა შეძლეს თამაშის გათანაბრება, მაგრამ სულ მალე ინიციატივას ისევ დინამოელები დაეუფლნენ. თამაშის 64-ე წუთზე საჯარიმო მოედანში შეჭრილ გუცაევს უხეშად ეთამაშნენ და მსაჯმა პ. კაზაკოვმა „არარატის“ კარში დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა კანთელაძემ — 2:0. 4 წუთის შემდეგ ჩელებაძემ ანგარიში სამამდე გაზარდა.

ამრიგად, სსრ კავშირის თასი მოიპოვეს თბილისის დინამოელებმა.

არა მარტო თასი

ამრიგად, თბილისის „დინამომ“ მიიღო არა მარტო ბროლის საპატიო თასი, არამედ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების საგზურიც. მისი მეტოქე უკვე ცნობილია — ესაა უელსის „კარდიფ-სიტი“.

„კარდიფ-სიტი“ 15 სექტემბერს თავის მინდორზე მიიღებს თბილისის „დინამოს“, ხოლო შემდეგ 29 სექტემბერს საპასუხო მატჩს ჩაატარებს თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 175 (5725)

4

1976 წ.
სექტემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი



მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დიდ სპორტულ სარბიელზე ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების დედაქალაქების ნორჩ მძლეოსანთა ასპარეზობა. ამ შეჯიბრების მონაწილეთაგან ბევრი ალბათ 1980 წელს მოსკოვში ჩამოვა ოლიმპიურ თამაშებში საასპარეზოდ ჯერჯერობით კი სარბენ ბილიკებზე, ხტომისა და ტყორცნის სექტორებში ისინი გამოცდილებას იძენენ.

• • •

სურათებზე: ჭოკით ხტება პრაღელი სპორტსმენი იაროსლავლო პოსპიშევი; გოგონათა სტარტი 100 მეტრზე რბენაში; შუბს ტყორცნის მოსკოველი ლიუდმილა რაზდაიგედინა.

ი. ვოლკოვის ფოტოები.

გურამ თავდიდიშვილის რეკორდი

მინსკში გრძელდება შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ცვალებადი სისწრაფით მოძრავ „გაქცეულ ტახზე“ ასპარეზობაში შესანიშნავად გამოვიდა თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. თავდიდიშვილი (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი), რომელმაც მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონ ა. გაზოვთან და ამ ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ ა. კედიაროვთან ბრძოლაში 385 ქულა მოაგროვა. ეს ახალი რესპუბლიკური მიღწევა და ვ. პოსტოიანოვის (სსრ კავშირი) მიერ 1974 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. II ადგილზე გასული კედიაროვი თავდიდიშვილს 3 ქულით ჩამორჩა.

ამავე ვარჯიშში (20+20) გაზოვმა (გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფი) 580 ქულა დააგროვა, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდსა და ოლიმპიურ მიღწევას ქულით აღემატება.

მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 60 გასროლაში ვ. ვლასოვმა (მოსკოვის ოლქი) 598 ქულა დაიმსახურა და ყველა მეტოქისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ამავე იარაღის სტანდარტზე (3×40) ასპარეზობაში მანვე 1164 ქულა მოაგროვა.

დამსახურებული ოვაციები

კუალა-ლუმპური, 2 სექტემბერი. (საკდესი). მალაიზიის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე დიდი წარმატებით ჩატარდა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები. ათასობით სპორტის მოყვარული გულთბილად შეხვდა საბჭოთა კავშირის წარგზავნილებს. მაყურებლები მხურვალედ უკრავდნენ ტაშს რუსუდან სიხარულიძეს, 12 წლის მოსწავლეს ინგა ხატიაშვილს, პაატა შამუგიას და სხვა ტანმოვარჯიშეებს.

საბჭოთა სპორტსმენთა გამოსვლების დღეებში მოეწყო ფოტოგამოფენა „სსრ კავშირის დღევანდელი დღე“. მალაიზიელები დიდი ინტერესით გაეცნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების, ეკონომიკის, კულტურისა და სპორტის სფეროში სსრ კავშირის მიღწევათა ამსახველ ფოტოსურათებს. ორი სტენდი მიეძღვნა საქართველოს ცხოვრებას, მასობრივი სპორტის განვითარებას ამ რესპუბლიკაში.

ჩემპიონატი განახლდა

ჩელიაბინსკი, 2 სექტემბერი. აქ განახლდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი (მეორე წრე). როგორც ცნობილია, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძვის 6 უძლიერესი კოლექტივი. პირველ დღეს წარმატებით იასპარეზეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა (სსფ ცსს) და კიევის „დინამოს“ გუნდებმა. პირველმა დაამარცხა თბილისის „დინამო“ — 7:2, ხოლო უკრაინელმა წყალბურთელებმა სძლიეს მოსკოველ თანაკლუბელებს — 6:4.

კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 5:5.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფორესტ-ჰილსი. აქ ტარდება ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობა, რომელმაც მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებს მოუყარა თავი. სტარტი წარმატებით აიღო ევროპის ჩემპიონმა, თბილისელმა თეიმურაზ კაკულიამ. ვაჟთა ერთეულების თანრიგის პირველ წრეში მან დაამარცხა ავსტრალიელი მარკ ედმონდსონი — 7:5, 7:6.

კიოლნი. მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში, ამერიკელმა დუაიტ სტოუნზმა, რომელმაც ამ ბოლო ხანს ბევრი მარცხი იწვნია (მათ შორის მონრეალშიც), ახლა გამარჯვება მოიპოვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მან არა მარტო მაღალი შედეგი აჩვენა (228 სმ), არამედ რევანში აიღო ოლიმპიურ ჩემპიონ იაცეკ ვშოლასთან (პოლონეთი) ჭიდილში. ვშოლა II ადგილზე გავიდა — 218 სმ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გდრ-ის სპორტსმენმა ანეგრეტ რიხტერმა დამაჯერებლად მოიგო 100 მეტრზე რბენა — 11,30. გამოირჩეოდა ოლიმპიადის ორი ვერცხლის პრიზიორი: პოლონელი ბრონისლავ მალინოვსკი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში (8.13,37) და ბელგიელი ივო ვან დამე 800 მეტრზე შეჯიბრებაში (1.44,1).

ჩემპიონატის ქრონიკა

1 სექტემბერს შედგა ჩემპიონატის ერთი მატჩი.

„ტორპედო“ — „დინამო“ (ორივე — მოსკოვი) 1:1. ორივე გოლი ავტოქარხნელებმა გაიტანეს: 54-ე წუთზე ბელენკოვის დარტყმამ მიზანს მიაღწია, ხოლო საფინალო სასტვენამდე 8 წუთი რჩებოდა, როცა მწვავე სიტუაციაში „ტორპედოს“ მცველმა პრიგოდამ საკუთარ კარში ჩაგდო ბურთი.

უმაღლესი ლიგა

I ლიგა

2 სექტემბერს გაიმართა I ლიგის გუნდების მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები კიშინიოვში ადგილობრივ „ნისტრუს“ შეხვდნენ და ფრედ ითამაშეს — 1:1.

სხვა მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 3:4, „ზვეზდა“ (პერმი) — „თერგი“ (გროზნო) 2:2, „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 5:2, „დაუგავა“ (რიგა) — ასკ (დონის როსტოვი) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „იალბუზი“ (ნალჩიკი) 3:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 4:1.

ტაშკენტის „ფახთაქორი“ და აშხაბადის „კოლხოზჩი“ ამ დღეს არ თამაშობდნენ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი“	26	15	9	2	46—19	39
„ტავრია“	27	14	8	5	40—21	36
„ქაირათი“	26	14	7	5	33—18	35
„ფახთაქორი“	26	13	8	5	43—17	34
„შინიკი“	27	12	6	9	31—26	30
„ნისტრუ“	27	9	11	7	39—30	29
„სპარ.“ ი.-ფ.	27	10	9	8	30—30	29
„ზვეზდა“	27	10	8	9	37—34	28
„ტორპედო“	27	8	12	7	30—27	28
„კუზბასი“	26	11	5	10	39—36	27
„კოლხოზჩი“	25	10	7	8	41—39	27
ასკ	27	9	7	11	26—30	25
„მეტალურგი“	27	9	6	12	27—28	24
„პამირი“	25	8	8	9	22—31	24
„თერგი“	26	6	11	9	26—40	23
„რუბინი“	27	4	14	9	28—37	22
„სპარ.“ ორ.	26	5	11	10	23—36	21
„დაუგავა“	27	5	9	13	25—35	19
„კუბანი“	26	4	7	15	18—43	15
„იალბუზი“	26	4	5	17	21—48	13

მაღალი წოდება

მონრეალის XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით გამოსვლისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა სპორტსმენთა დიდ ჯგუფს. მათ შორის არის თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდის წევრი ა. ანპილოგოვი.

სოფლად ფიზკულტურის მასობრივი განვითარება დიდი სპორტის უშრეტი წყაროა!

პირადი მაგალითის ძალა

დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის საყრდენ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაარსებიდან 46 წელს ითვლის. საქართველოს რომელი კუთხიდან არ ჩამოდიან აქ ახალგაზრდები საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სპეციალობათა დასაუფლებლად. სულ დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში შვიდი განყოფილებაა — აგრონომიული (მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობა), საბუღალტრო, ქალაქისა და სოფლის გამწვანებისა, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვისა, ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგიისა, საქმის წარმოების ორგანიზაციისა და აგრონომიულ-საორგანიზატორო.

სასწავლებელში ყოველწლიურად 270 ახალგაზრდა ირიცხება და უმრავლესობა ტექნიკუმში არსებულ 12 სპორტულ სექციაშია გაერთიანებული. სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტები ფიზაღზრდის ხელმძღვანელის, ეროვნულ სახეობებში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ილია ლეკვეიშვილისა და მისი ახალგაზრდა კოლეგების ხელმძღვანელობით გულმოდგინედ მეცადინეობენ კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ხელბურთში, ლელობურთში, ფეხბურთში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ტყვიის სროლაში, ჭადრაკში, შაშსა და ტანვარჯიშში.

ტექნიკუმის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია მშვენიერი, 2000-ადგილიანი ფეხბურთის მინდორი თავისი მძლეოსნური სექტორებითა და 400-მეტრიანი სარბენი ბილიკებით, ღია ტირი, საუცხოო სპორტდარბაზი, კალათბურთისა და ფრენბურთის ღია მოედნები.

ტექნიკუმში კურსების მიხედვით შექმნილია მშდ კომპლექსის სასწავლო ჯგუფები. წლეულს ექვს თვეში მოუმზადებიათ მშდ კომპლექსის III, IV და V საფეხურების 56 ნიშნოსანი, გეგმით გათვალისწინებული 37-ის მაგიერ 51 პირველი, მეორე, მესამე, მოზარდთა თანრიგების სპორტსმენი და ოსტატობის კანდიდატი.

ტექნიკუმში სისტემატურად ტარდება შიდასაკოლექტივო პირველობები. წლეულს სარაიონო პირველობაში ყველას აჯობეს ამ სასწავლებლის მძლეოსნებმა, ლელობურთელებმა, ქართული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში II საპრიზო ადგილებს დასჯერდნენ, ხოლო ტყვიის მსროლელები III ადგილზე გავიდნენ. შარშან ამ სასწავლებლის წარგზავნილებმა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების პირველობაში III ადგილი მოიპოვეს.

სასწავლებელი ამაყობს თავისი აღზრდილების, ცნობილი სპორტსმენების ჯიბილო ნიჟარაძის, ბედუქი მეშველიანისა და სხვათა წარმატებებით საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. სწორედ მათს ტრადიციებზე იზრდებიან ტექნიკუმის დღევანდელი სტუდენტები, მოწინავე სპორტსმენები, მძლეოსნები თ. ქიშაევი, რომელსაც მეორე საკავშირო თანრიგი აქვს მიღებული, გ. არაბიძე, რ. ონიანი, ჯ. ქურასპედიანი, შ. გოგავა, პირველთანრიგოსნები თავისუფალ ჭიდაობაში ვ. გაბიანი (იგი ახლა ოსტატობის კანდიდატის ნორმას ასრულებს სამბოში), რ. ონიანი, თ. თავშავაძე, სპორტის ოსტატები ლელობურთში რ. ვაშაკიძე, გ. დოლაბერიძე, თ. ქიშაევი, ვ. გაბიანი...

რასაკვირველია, ზემოჩამოთვლილი მიღწევები, მშვენიერი სპორტული ბაზები მარტო ი. ლეკვეიშვილისა და მისი კოლეგების დამსახურება არ იქნება. დიდი ჯახაიშის საყრდენ-საჩვენებელ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს სათავეში უდგას სპორტის დიდი ენთუზიასტი, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი პოლიკარპე მიქაძე.

ბატონი პოლიკარპე 67 წლისაა. იგი 1934 წლიდან უდგას სათავეში ტექნიკუმს. ბევრი სიძნელე გადახდომია თავს სამიქაოელ გლეხის ოჯახიდან გამოსულ ვაჟკაცს, მაგრამ ფარ-ხმალი არასდროს დაუყრია. დიდი ორგანიზატორიაო, ამბობენ ბატონ პოლიკარპეზე თანამშრომლები, რაც უნდა უინტერესო საქმე გქონდეს, რაც უნდა უხალისოდ იყო, არ შეიძლება არ დაგაინტერესოს, კარგ გუნებაზე არ დაგაყენოსო. სწორედ ამ კაიკაცობის, ამ კარგი ადამიანობისა და ხელმძღვანელობის უნარისთვის სცემენ ესოდენ პატივს ენერგიულ, პრინციპულ და მომთხოვნ დირექტორს კოლეგები, აღსაზრდელები, ყველა, ვისაც კი მასთან თუნდაც რამდენიმე წუთით უსაუბრია.

ტექნიკუმის დირექტორს მაშინ ვესტუმრეთ, როცა ტექნიკუმში მისაღები გამოცდები მთავრდებოდა, იწერებოდა და ფორმდებოდა ბოლო ნიშნები. მასპინძელი დაღლილი ჩანდა, მაგრამ არ იმჩნევდა. უამრავი საქმე ჰქონდა და ახლა ჩვენც დავემატეთ. მალიმალ გადიოდა სამუშაო კაბინეტიდან და ალბათ მხოლოდ იმიტომ ბრუნდებოდა, რომ ჩვენ სიმარტოვე არ გვეგრძნო. თუმცა, მისვლისთანავე ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ი. ლეკვეიშვილი მოგვიჩინა — სანამ გავთავისუფლდები, ტექნიკუმის სპორტულ ცხოვრებას გაეცანითო.

...1929 წელი იყო. მაშინ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ პოლიკარპე მიქაძე. ერთ დღეს შეუძლოდ შეიქნა და ექიმ ივანე გომართელს შინ მიაკითხა. ექიმმა წამალი კი გამოუწერა, მაგრამ თან დაურთო: იცოდე, ყველა წამალს ვარჯიში სჯობსო. ის დღე იყო და ის დღე. მას შემდეგ დღემდე არ დაუნებებია თავი ფიზიკური ვარჯიშისთვის. თავის აღსაზრდელებსაც უნერგავს ფიზკულტურისა და სპორტის სიყვარულს. ამ სიყვარულს ბატონი პოლიკარპე საქმითაც ადასტურებს. საკმარისია ითქვას, რომ „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით მან რესპუბლიკაში პირველმა შემოიღო მეორე სპეციალობა — ტექნიკუმის ყველა კურსდამთავრებული ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორის წოდებასაც იღებს. ტექნიკუმის დღევანდელი სტადიონი სწორედ ბატონი პოლიკარპეს თაოსნობით გაიხსნა.

1965 წელს სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს სპორტკლუბის სახელი მიენიჭა და „ლელო" დაერქვა. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ხაზით გამართულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ფიზკულტურული მუშაობის რესპუბლიკურ კონკურს-დათვალიერებებში „ლელო" მისი თავმჯდომარის პოლიკარპე მიქაძის ხელმძღვანელობით წლების მანძილზე I ადგილებზე გამოდის.

...პოლიკარპე მიქაძეს ღრმად სწამს პირადი მაგალითის ძალა. ალბათ ამიტომაც ცდილობს მთელი მისი ცხოვრება სამაგალითო იყოს ახალგაზრდობისთვის.

...სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების სასოფლო-სამეურნეო განათლების მთავარი სამმართველოს მეთოდური საბჭოს წევრი, აგრონომი პოლიკარპე მიქაძე თავის საქმეს დამთავრებულად არა თვლის. იგი ერთ-ერთი თაოსანია ტექნიკუმის ახალი შენობის აგებისა, რომელსაც დიდი სპორტული კომპლექსი მეტ ეშხსა და ელფერს შესძენს.

სპორტში დამსახურებისთვის ახლახან იგი საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

...წინ კიდევ დიდი გზა უდევს ამ მუხლმოუდრელ კაცს. ამ დღეებში მისი ხელმძღვანელობით დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმმა ორმოცდამეორედ გაუღო კარი ახალგაზრდებს. მივულოცოთ მათ, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ფიზკულტურელებს, ტექნიკუმის დირექტორს ახალი სასწავლო წლის დაწყება!

დ. ჟელიძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).
დიდი ჯიხაიში,
სამტრედიის რაიონი.

შეხვედრა ოლიმპიადის მონაწილესთან

ამას წინათ ხაშურის რაიონის ფლევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კლუბში დიდი ზეიმი გაიმართა. მეურნეობის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის აქტივისტთა თაოსნობით მოეწყო შეხვედრა XXI ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორთან, ამავე სოფლის მკვიდრთან რამაზ ხარშილაძესთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ფლევის მეურნეობის დირექტორმა ე. ქოთუაშვილმა. ხარშილაძის სპორტული გზის შესახებ ილაპარაკა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტმა ს. ნოზაძემ. XXI ოლიმპიადის შედეგებზე დამსწრეთ ესაუბრა ფლევის საშუალო სკოლის პედაგოგი მ. ბუხრიკიძე.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდა თვით ოლიმპიელი. მან გულშემატკივრების წინაშე პირობა დადო, რომ კვლავაც იბრძოლებს მაღალი სპორტული შედეგებისთვის.

მ. ბუხრიკიძე,
სპორტის ოსტატი.

„მართვეს" ახალი ნომერი

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ყოველკვარტალური დამატების — „მართვეს" მორიგი ნომერი. ჩვენს წინაა გემოვნებით გაფორმებული და შინაარსობრივად მდიდარი ჟურნალი, რომელსაც ჯერ საღებავი კარგად არც შემრობია. ინტერესით ვფურცლავთ გვერდებს, გულდასმით ვკითხულობთ წერილებს და ვრწმუნდებით, რომ „მართვე" ერთგულია თავისი ძირითადი ხაზისა. ეს ხაზია სპორტის პროპაგანდა ახალგაზრდებში, მომავალი თაობის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ფიზიკური კულტურის როლისა და მნიშვნელობის ღრმად გაგება.

ჟურნალის თვისებათა შორის უმთავრესი ისაა, რომ იგი არც ერთ ნომერში არ ღალატობს უწინ დასმულ პრობლემებს, ცდილობს რაც შეიძლება ღრმად, ყოველი კუთხით განიხილოს მსჯელობის საგანი.

შარშან რედაქციამ საინტერესო საუბარი წამოიწყო „ეზოს პრობლემაზე". ამ საჭირო მსჯელობას დასაბამი მისცა მწერალმა და პუბლიცისტმა რევაზ თვარაძემ. სარეცენზიო ნომერში ბევრ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ამ საკითხზე აკადემიკოსი გიორგი შხვაცაბაია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჟურნალი ცდილობს სხვადასხვა პოზიციიდან, სხვადასხვა კუთხიდან განიხილოს საკითხი. აი, ეს თანამიმდევრულობაა ყველაზე დასაფასებელი.

ტრადიციული თემაა, აგრეთვე, ბავშვებისთვის ცურვის სწავლების პროპაგანდა, რომელიც ნომრიდან ნომრამდე გრძელდება. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის თავმჯდომარე ზ. ფირსოვი. უკვე ნაცნობი პრობლემის ვარიაციად მივაჩნია ჟურნალისტ თ. გაჩეჩილაძის წერილი „მშდ პიონერულ ბანაკში". ამ მასალით გრძელდება მეტად საჭირო და სასარგებლო რუბრიკა „თავს როგორ გრძნობ, მშდ".

„მართვეს" ბევრი საინტერესო იდეა აქვს, ბევრი საპრობლემო საკითხი. ერთ-ერთ ასეთ იდეას იგი ამ ნომერშიც გვთავაზობს. ამ იდეის შინაარსი მწვავეა და ჩვენი სპორტის მომავლისთვის საჭირბოროტო. ორიოდე სიტყვით იგი ასე შეიძლება გამოვთქვათ: თბილისის სახელოვანი 35-ე სკოლის ტრადიცია უნდა აღორძინდეს. საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამენ ამის თაობაზე ქართული სპორტის ვეტერანები გ. მერკვილაძე, ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, მ. მესხი, ა. ჭკუასელი, სკოლის ყოფილი მოსწავლეები, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი შ. ადამია, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. ისინი ზოგ საკითხში ერთმანეთს არ ეთანხმებიან, კამათობენ, მაგრამ ძირითად იდეას ერთსულოვნად ეთანხმებიან — 35-ე სკოლის ტრადიციები უსათუოდ უნდა აღდგეს.

ყურადსაღებია ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. გეგეჭკორის წერილი „დედაბუნება გვიხმობს". მშობლიური მხარის შესწავლას ყველა რესპუბლიკაში, ყველა ქვეყანაში დიდ ყურადღებას აქცევენ. განა არ გვიხარია, როცა სტუმრები გვიქებენ ველ-მინდვრების მარაქას, როცა აღტაცებითა და მოწიწებით შეჰყურებენ ჩვენს მიუვალ მთებსა და მწვერვალებს? ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგია და სასიამოვნო. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ ხშირად ფეხს ვითრევთ მშობლიური მხარის შესწავლის პატრიოტულ საქმეში.

კიდევ ერთ წერილზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. მისი სათაურია „სწავლული ვარ თუ არა?" ისევ და ისევ ძველი პრობლემა სპორტისა და მეცნიერების ურთიერთობაზე, პრობლემა, რომელიც დღეს მწვავედ დგას ყველგან, მთელს მსოფლიოში. როგორც ამ წერილის დახმარებით მკითხველი შეიტყობს, ქართული სპორტის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ იგი ვერაფრით დავუკავშირეთ მეცნიერებას.

ინტერესით გაეცნობა მკითხველი საქართველოს ოლიმპიელებისადმი მიძღვნილ მასალას, განსაკუთრებით, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის ინტერვიუს, რომელიც ცოცხალი ენითაა დაწერილი და ხალისიანად იკითხება.

ჟურნალი სისტემატურად უთმობს ადგილს სპეციალისტებს ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისთვის. ტრადიცია არც ამ ნომერშია დარღვეული (იხილეთ პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. მიმინოშვილის და ექიმ ც. კაკაბაძის წერილი „ბავშვთა ფიზიკური აღზრდა და ჰიპოდინამია", ს. შენკმანის „სპორტი კიბოს წინააღმდეგ", გ. გილმორის „რწმენა სიცოცხლისათვის" და რ. ქოლტის „სპორტი სკოლაში"). მახვილგონივრულად და ორიგინალურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან დედა ენისა და ფიზიკური აღზრდის როლი ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის შ. ამონაშვილის წერილში „ბურჯი ეროვნებისა".

„მართვეს" ეს ნომერიც, როგორც ყოველთვის, გემოვნებითა და სიყვარულითაა გაფორმებული. ყოველი ფოტო, ყოველი ნახატი, ყოველი შტრიხი ორგანულად ერწყმის ჟურნალის დედააზრს, რომლის მთავარი მიზანია ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მოზარდი თაობის აღზრდის პროპაგანდა.

ნ. ახვლედიანი.

ცნობები შვეციიდან

გაზაფხულზე ქ. ნესიოში გაიმართა შვეციის ვაჟთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. სტარტზე გამოვიდა 48 მოჭადრაკე, რომლებმაც შვეიცარიული სისტემით 9 ტური გაითამაშეს. შვეციაში მცხოვრებმა ქართველმა მოჭადრაკემ, 23 წლის კ. კაიშაურმა 7 ქულით II ადგილი დაიკავა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ფინალში არ მონაწილეობდა ერთადერთი შვედი დიდოსტატი უ. ანდერსონი (იგი დროებით მწვრთნელად მუშაობს კუბაში), მაგრამ ბრძოლა მაინც მწვავედ მიმდინარეობდა. კაიშაურმა VI-IX ადგილები გაიყო, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით VI ადგილი ერგო. ამ წარმატებისთვის იგი შვეციის ოლიმპიურ გუნდში ჩაირიცხა.

ამჟამად კაიშაური მონაწილეობს სტოკჰოლმის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (შვეიცარიული სისტემით, 9 ტური), რომლის 40 მონაწილეს შორის 14 მასპინძელთა წარმომადგენელია.

SCHACK
1976

სურათზე: შვეციის საჭადრაკო ჟურნალის „შახ ნუტის" ყდა, რომელზეც დაბეჭდილია კ. კაიშაურის ფოტოსურათი.

დაწინაურდა ცეშკოვსკი

სოჭში გრძელდება მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვაჟთა XI საერთაშორისო ტურნირი. გათამაშდა კიდევ ორი (III, IV) ტური.

კვლავ ლიდერობს ვ. ცეშკოვსკი (სსრ კავშირი) — 3,5 ქულა. მან საანგარიშო ტურებში 1,5 ქულა მოაგროვა: მოუგო ვ. იანსას (ჩეხოსლოვაკია) და დაუზავდა ი. ზაიცევს (სსრ კავშირი). ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლ. პოლუგაევსკი და ე. სვეშნიკოვი (ორივე — სსრ კავშირი). ამ უკანასკნელს ერთი გადადებული პარტიაც აქვს.

2,5-2,5 ქულა მოაგროვეს ა. ადორიანმა (უნგრეთი) და გ. კუზმინმა (სსრ კავშირი), ოღონდ საბჭოთა დიდოსტატმა სამ შეხვედრაში. I ტურიდან ესტევესთან (კუბა) გადადებულ პარტიაში მას მძიმე პოზიცია აქვს. ბოლო ორ შეხვედრაში კუზმინმა მოუგო კიროვს (ბულგარეთი) და პოკოიოვჩიკს (პოლონეთი), ადორიანი კი ყაიმზე შეუთანხმდა გეორგიუს (რუმინეთი) და ესტევესს.

ოქროს მედლებიც, მსოფლიო რეკორდიც

ჰანოვერი, 2 სექტემბერი. 4 ოქროს მედალი, მსოფლიო რეკორდი — ასეთია საბჭოთა სპორტსმენების „ნადავლი" წყალქვეშ მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატის სტარტზე.

4×200 მ ესტაფეტაში სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა არა მარტო ოქროს მედალი მოიხვეჭეს, არამედ ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს — 6.52,67.

ნოვოსიბირსკელმა ვ. სუჩკოვმა ვაჟთა შორის ყველას აჯობა 50 მეტრზე ყვინთვაში — 16,92. ქალებში იმარჯვა მინსკელმა ი. ბურაიამ — 20,1. მანვე გაიმარჯვა აკვალანგით 100 მეტრზე ცურვაშიც — 45,85.

[illegible]-76

● ოტავა, 3 სექტემბერი. „ნეკერჩხლის ფოთლის" ქვეყნის ჰოკეისტებმა კანადის თასის გათამაშება ფინეთის გუნდთან გამარჯვებით დაიწყეს. ანგარიშია 11:2 (4:1, 2:0, 5:1). ეს შეხვედრა კანადის დედაქალაქში მიმდინარე ასპარეზობის პირველი კალენდარული მატჩია.

1976, მონრეალი, XXI ოლიმპიადა

1. მესამე ფინალი

მეხიკოდან მიუნჰენამდე ზუსტად ოთხი წლის სავალია. ოთხი წელი, ეს იგივეა, რაც ოთხი სპორტული სეზონი და ბევრი, ძალზე ბევრი მოუსვენარი, შთაბეჭდილებებით სავსე დღე. ვინ მოთვლის, რამდენი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე ადამიანთა ურთიერთობის სფეროში, რამდენი რამ შეიცვალა ცხოვრებაში, თუ გნებავთ, სპორტში. ვარსკვლავებმა შეწყვიტეს ციმციმი, ბევრი მათგანი ჩაქრა კიდეც. მათს ნაცვლად მძლეოსნობის ცისკაბადონზე რამდენიმე ახალი მნათობი ამობრწყინდა. ბუნებაში არაფერი იკარგება უკვალოდ.

გუშინდელ ოლიმპიურ გმირთაგან ზოგი მთლიანად ჩამოსცილდა სპორტს. ზოგმა ასაკის გამო, ან სხვა მიზეზით დათმო ასპარეზობა და ახლა განზე გამდგარი ადევნებს თვალს ახალი ტალღის აღზევებას. ესაა სწორედ დიალექტიკა, ძველისძველი ცხოვრებისეული კანონი. ახალი მუდამ ხალისისა და რწმენის წყაროა. მაგრამ იგი, ამავე დროს, გაურკვეველიცაა, ჯერ კიდევ უხერხემლო და ჩამოუყალიბებელი. ალბათ ამიტომაა სპორტი ასე მჭიდროდ დაკავშირებული თავის წარსულთან, ნაცად და ბრძოლებში ნაწრთობ ისტორიასთან.

ძველისა და ახლის ჭიდილი სამყაროს ხნისაა, მაგრამ ბუნების მადლიც სწორედ ის არის, რომ ათასგვარი ხერხებითა და საშუალებებით ცდილობს ამ ურთიერთობაში თანხმობა და ჰარმონია დაამკვიდროს. ძველი, როგორც წესი, უნდა წავიდეს, გზა დაუთმოს მომავალს. ასე წავიდა სპორტიდან რამდენიმე ლამაზი ლეგენდა (ოუენსი, კუცი, ვლასოვი). ამ ლეგენდებს თან გაჰყვა მძლეოსნობის მთელი ეპოქა. სამაგიეროდ, ახლები მოვიდნენ და ამ ახლებში რჩეულთ ფართო ასპარეზი დახვდათ მზის ქვეშ. სპორტი დღევანდელი დღით ცხოვრობს, მაგრამ უაღრესად მგრძნობიარეა თავისი წარსულის მიმართ. ამ წარსულის ფურცლებს იგი სასოებით ინახავს.

მეხიკოდან მიუნჰენისკენ მიმავალ გზაზე მართლაც დიდი ცვლილებები მოხდა. მაგრამ დარჩნენ ერთეულებიც პირვანდელი ბრწყინვალებით და შარავანდედით. ჩვენი მომავალი საუბარი სწორედ ამ ერთეულებს ეხება.

ვიქტორ სანეევის ცხოვრებაში მეორე ოლიმპიადამ მთელ რიგ პრობლემებთან ერთად შემოაბიჯა. ოთხი წლის წინათ იგი უმაღლესი ჯილდოს ერთ-ერთი იღბლიანი მაძიებელი იყო. მიუნჰენში კი მონომახის ქუდივით მძიმე ოქროს გვირგვინი ედგა. რა უფრო ძნელია, ნეტავ, პირველი გამარჯვება თუ ამ გამარჯვების შენარჩუნება? არც ერთი არ არის იოლი, მაგრამ, ამბობენ, მეორე უფრო საპატიოაო.

იმიტომ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი მუდამ საყოველთაო ყურადღების საგანია; იმიტომ, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს უსმენენ, აკვირდებიან, ზოგჯერ ჰბაძავენ კიდეც, მაგრამ უფრო ხშირად ბრმად იმეორებენ; იმიტომ, რომ იგი მასობრივი შეტევის წყაროა. ყველას აქვს სურვილი და ეს სურვილი სავსებით კანონიერია, სწორედ ოლიმპიურ ჩემპიონთან გამოსცადოს თავისი ძალა, უნარი.

ვიქტორ სანეევი არასდროს ყოფილა მშიშარა. პირიქით, იგი ხმალამოწვდილი მებრძოლია თავისი პრინციპებითა და შეხედულებებით, რომელთა ერთგულია მუდამ, ყველაზე დიდი სიხარულის თუ სინანულის ჟამს. ვიქტორ სანეევმა იცის, რომ მუდამ მზად უნდა იყოს. ესეც ჩემპიონის ხვედრია. სხვას აქვს მარცხის უფლება, მას — არა. ვიღაცას შეუძლია თავისი სიამოვნებისთვის გადახტეს, ჩემპიონს კი ათასობით თვალი სდარაჯობს. იგი ვალდებულია მუდამ დაიცვას მუნდირის ღირსება. მძიმეა, უაღრესად მძიმე, მონომახის ქუდი.

მეხიკოს შემდეგ სანეევის სპორტულ ბიოგრაფიაში არსებითი არაფერი მომხდარა. მაგრამ ამ მოჩვენებითი სიმშვიდის უკან იმალება შრომის, სრულყოფისა და ძიების მეტად რთული გზა. გამარჯვება თავისთავად არ მოდის. ერთმა ძალოსანმა თქვა, სარეკორდო შტანგას ის ასწევს, ვინც თავის წონა ოფლს დაღვრისო. ასეა ძალოსნობაში, ასეა სპორტის სხვა სახეობებში, ასეა მძლეოსნობაში. და ვიქტორ სანეევიც, როგორც დაუღალავი მშრომელი, თავის წონა ოფლს ღვრის მომავლის იმედით.

მიუნჰენში მას არანაკლებ მძიმე გამოცდა ელოდა და ჩემპიონმაც მორჩილად მიიღო ეს გამოწვევა. ახლა თამამად შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ოთხი წლის წინათ ვიქტორმა მწვავე ტაქტიკური დარტყმა მიაყენა თავის მთავარ კონკურენტებს და მშრალზე დატოვა, დღეს ყველაფერი ეს მარტივად გვეჩვენება, მაშინ კი...

ალბათ გახსოვთ, პირველი ოლიმპიური ფინალი სანეევმა ბოლო ცდით მოიგო. ეს უსათუოდ ტაქტიკა იყო და არა განწირული კაცის ნახტომი, ვინაიდან მომავალი ჩემპიონი ამ ნახტომს ინახავდა, როგორც მთავარ იარაღს.

მეორე ფინალი მიუნჰენში მან სხვაგვარად წარმართა და ისიც საბოლოო ჯამში უშეცდომო გამოდგა. ჩვენი აზრით, ტაქტიკაც სწორედ ისაა, როცა ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ხერხს, სხვადასხვა საშუალებას მიმართავ. ოთხი წლის წინათ იგი უფრო მეთვალყურე იყო, ჩრდილში იდგა და მხოლოდ ბოლო მომენტში გამოვიდა წინ გადამწყვეტი სიტყვის სათქმელად, ახლა მან თავად დაასწრო მოვლენებს და მეხიკოს ბოლო ნახტომი პირველ ცდაში გადმოიტანა. ეს იყო კარგად მოფიქრებული, მოულოდნელი მახე, რომელმაც დანარჩენებს ხალისი და ბრძოლის ჟინი წაართვა.

17 მეტრი, 35 სანტიმეტრი — ეს სიტყვები მეხივით გავარდა მიუნჰენის ოლიმპიურ სტადიონზე. ჩემპიონის გამიზნულმა ტაქტიკამ უმალ იმსხვერპლა იორგ დრემელი — გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი. ამ შედეგის ძალა იმდენად მაგიური გამოდგა, რომ დრემელმა ზედიზედ გააფუჭა სამი ნახტომი და მხოლოდ ბოლოსწინა ცდაზე მოეგო გონს, როცა ყველაფერი უკვე დაკარგული იყო. რაც შეეხება პრუდენსიოს, იგი იმდენად დაბნეული იყო, რომ ბრინჯაოს ჯილდოც ღვთის წყალობად ჩათვალა.

1976 წლის 30 ივლისს, მონრეალის დროით 15 საათზე, ვიქტორ სანეევი კიდევ ერთ ოლიმპიურ ფინალს შეეჭიდა.

...უკვე მეოთხე საათი მიდის. ისინი სამნი არიან, ბრძოლის სურვილით და აზარტით შეპყრობილი სამი მხტომელი. ჯეიმს ბატსი — ამერიკელი ზანგი ჯერ ახალია, ასეთ დიდ ტურნირებში გამოუცდელი, მაგრამ, რაკი ამერიკელებმა ნდობით აღჭურვეს, ჩანს, უნარიც შესწევს ღირსეული ადგილი დაიკავოს ამა ქვეყნის ძლიერთა დავაში.

ბრაზილიელი დე ოლივეირაც შედარებით ახალია, მაგრამ მსოფლიოს რეკორდმა, ოლიმპიურ ჩემპიონს რომ ჩამოართვა დაუსწრებელ ბრძოლაში, როგორც ჩანს, დროზე ადრე მოამწიფა მისი პატივმოყვარეობა.

ძველია მხოლოდ სანეევი, ძველი, როგორც სამხტომის ოლიმპიური ისტორია, მაგრამ გული ახალგაზრდისა აქვს და მუხლიც ჯერ კიდევ მოსდევს. ძველიარ, ამას სხვების გასაგონად ვამბობთ, თორემ აგერ ბურთი და აგერ მოედანი. სცადეთ, შეეჭიდეთ, დაჩაგრეთ და ღმერთმა შეგარგოთ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის მძლეველის სახელი.

არიან სხვებიც. გუშინ საკვალიფიკაციო ტურნირში ამ სამის გარდა კიდევ ცხრა სპორტსმენმა მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება. ყველა იმედითაა ჩასული მონრეალში, ყველას აქვს ფარული განზრახვა უსათუოდ დაჩაგროს დანარჩენები. მაგრამ ვაი, რომ ერთია ოქროს მედალი, ესე იგი, ადგილიც ერთია ისტორიაში.

...ჟოაო დე ოლივეირა, ვიქტორ სანეევი და ჯეიმს ბატსი! ასეთი თანამიმდევრობით განაწილდნენ ისინი ფინალში. დანარჩენთა გვარები არავის ახსოვს. ისინი მხოლოდ ფონს უქმნიან ამ სამთა ჭიდილს.

პირველი ცდა. ბრაზილიელ ვუნდერკინდს და ოლიმპიურ ჩემპიონს გაუფუჭდათ ნახტომი. მხოლოდ ბატსია მოწოდების სიმაღლეზე (16 მ და 69 სმ), მაგრამ შედეგი დიდი ვერაფერი ბედენაა.

მეორე ცდა. ბატსმა კიდევ შვიდი სანტიმეტრით აჯობა თავის თავს. სანეევი მეტოქეს კვალში ჩაუჯდა. ოლივეირა აშკარად ნერვიულობს.

მესამე ცდა. ოლიმპიური ჩემპიონი 17 მეტრსა და 6 სანტიმეტრზე გადახტა. ბოლოს და ბოლოს მან ხელთ იგდო ლიდერობა. ოლივეირა ვერ „პოულობს ნახტომს“. იგი აშკარად ჩამორჩა მოვლენათა მსვლელობას. ასე თუ გაგრძელდა, მას ცდებიც აღარ ეყოფა.

მეოთხე ცდა. ამერიკელი არ ნებდება. აი, რას ნიშნავს ახალგაზრდობა. ალესილ დანის პირზე თამაშს მტკიცე ხასიათი სჭირდება. სანეევს მტკიცე ხასიათი აქვს. ბატსიც ასეთი ყოფილა. ოლივეირამ საბოლოოდ დაკარგა წონასწორობა — 15 მეტრზეც ველარ გადახტა. სამაგიეროდ, ამერიკელი ლიდერობას იბრუნებს — 17 მეტრი, 18 სანტიმეტრი.

დარჩა ორი ცდა, ორად ორი საბედისწერო ნახტომი. ნეტავ რას ფიქრობს ოლიმპიური ჩემპიონი? ნუთუ ისევ ბოლო ნახტომის იმედი აქვს? მეხიკოში ასეთმა ტაქტიკამ გაამართლა, მაგრამ დღეს სხვა წლებია, სხვა აზარტი. არა, სანეევს უფლება არა აქვს დაელოდოს მეექვსე ცდას. ყველაფერი ახლავე უნდა გადაწყდეს, ამ ნახტომით. მეექვსე ცდა სარეზერვოა, მას უკიდურეს შემთხვევაში თუ მიმართავს.

ფანტასტიკური რომანის სიუჟეტი არაფერია იმასთან შედარებით, რაც ახლა უნდა მოხდეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიიღო გადაწყვეტილება და გამოქანდა. უეცრად ტრიბუნებზე ტაშმა იქუხა. წამით დავიბენით კიდეც. რა მოხდა? ვის მიესალმება ეს ზღვა ხალხი? მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ სხვა სექტორებშიც არანაკლებ მძაფრი ბრძოლაა გაჩაღებული. ეს ტაშიც ამერიკელ ათჭიდელს ეკუთვნის.

გამორბენი, საკონტროლო ხაზი, ერთი, ორი და... ახლა მესტარტის დამბაჩის ხმამ გააყრუა სტადიონი. დაიწყო შეჯიბრებები ესტაფეტაში.

ასეთ მძიმე ბრძოლაში ყოველგვარი გარეშე ხმა საბედისწერო შეიძლება გამოდგეს. რაღა ახლა ატყდა აურზაური სტადიონზე? დალოცვილ მესტარტეს ერთი ორი წუთი კიდევ ეცლია...

...სამი! თითქმის ვყვირი და ხელით ვანიშნებ მეზობელს აღმოსავლეთ ტრიბუნისკენ. სტადიონს ერთხელ კიდევ გადაუარა ოვაციის მძლავრმა ტალღამ. ეს ოვაცია უკვე სანეევს ეკუთვნის. რა მოხდა, ჯერ კიდევ არ ვიცით, მაგრამ მეც და ჩემი მეზობელიც დარწმუნებული ვართ, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა თქვა თავისი სათქმელი.

17 მეტრი და 29 სანტიმეტრი — ციფრების ახალი წყვილი აციმციმდა ტაბლოზე. ეს უკვე გამარჯვებაა — მას ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის.

სამი მთავარი ნახტომი ცხოვრებაში და ამდენივე ოქროს მედალი! ვიქტორ სანეევის აზრით, მონრეალის მედალი ტაქტიკურად უფრო მარტივია და სწორხაზოვანი. კეთილი და პატიოსანი, ეს მის ღირსებას ოდნავაც არ ამცირებს. გავა კიდევ რამდენიმე დღე და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უფრო დააზუსტებს ამ სიტყვებს.

ნახტომი, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოუტანა ჟოაო კარლოს დე ოლივეირას. მსოფლიოს რეკორდსმენმა თავისი გეგმების განხორციელება კიდევ ოთხი წლით გადადო.

მ. ზარგარიანის ფოტო

მონრეალის ოლიმპიადა მარტივი იყო ტაქტიკის მხრივ, თორემ ფიზიკური დაძაბულობით მან ერთიორად გადააჭარბა წინამორბედებს. ასეთია ოლიმპიური ჩემპიონის ბოლო სიტყვა, ჩვენზე უფრო ზუსტი და სარწმუნო. სამწუხაროდ, ამ ფიზიკურ სიმძაფრეს სტადიონის ტრიბუნიდან ვერ ვგრძნობდით. ჩვენ უფრო სიუჟეტის დრამატიზმით ვიყავით გართული.

...მერე პრეს-ცენტრში ვისხედით დიდხანს და ამ დაუვიწყარი ბრძოლის დეტალებს ვიხსენებდით. ჩვენ ორნი ვიყავით, მე და ჩემი მეზობელი ტრიბუნიდან. ჩვენს საუბარს ათბობდა ორი ფინჯანი ცხელი ყავა და დღევანდელი დღის მოგონება, რომელმაც ამდენი სიხარული მოგვიტანა ორივეს.

მაინც, რაშია ვიქტორ სანეევის ძალა? ვკითხეთ ერთმანეთს განშორებისას — ვაჟკაცობაში? ნებისყოფაში? მიზანდასახულობაში? ყველაფერი ასეა, მაგრამ სანეევი, ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა დიდი და დაუღალავი მშრომელია. შრომის სიყვარულმა დახვეწა მისი ნიჭი, ასე უხვად რომ არგუნა ბუნებამ.

ნ. ბუბუშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 172, 174.

მართვის სისტემების ინსტიტუტში...

ფიზკულტურის კოლექტივებში

მართვის სისტემების ინსტიტუტში ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო ინსტიტუტის დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა. აქ შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის სექციები. ფიზკულტურულ საბჭოს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა უმცროსი მეცნიერ-მუშაკი მ. თუშიშვილი. ახლა მას სათავეში უდგას ინჟინერი თ. თათარიშვილი.

ინსტიტუტში 280 თანამშრომელია და მათგან 110 გაერთიანებულია ფიზკულტურულ ორგანიზაციაში. ყოველწლიურად ტარდება შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. შარშან 12 თანამშრომელმა ჩააბარა ნორმატივები ცურვაში, ექვსმა — 200 მეტრზე რბენაში, ხოლო 40-მა — სროლაში, მათგან 17-მა III თანრიგის ნორმატივი შეასრულა. კალათბურთში მესამეთანრიგოსანია ინსტიტუტის 9, ხოლო ჭადრაკში — 20 თანამშრომელი.

1974 წელს მშდ კომპლექსის პროგრამით გამართულ საიუბილეო შეჯიბრებაში ინსტიტუტის გუნდმა I ადგილი დაიკავა.

ყოველწლიურად ეწყობა შიდასაკოლექტივო ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. წლის დასაწყისში ტარდება ტრადიციული საახალწლო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. წლეულს ამ ტურნირში გამარჯვება უფროს ინჟინერ ჯ. ჭყონიას ხვდა.

გაზაფხულობით ტარდება ინსტიტუტის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობს. ადაპტური სისტემების ლაბორატორიის ფეხბურთელთა გუნდი „დილა“ თასის სამგზის მფლობელია.

მართვის სისტემების ინსტიტუტი წლების მანძილზე საპრიზო ადგილებზე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის პირველობებში. მაგალითად, 1974 წელს, როცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250-ე წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივების შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ამ ინსტიტუტის წარმომადგენლებმა II ადგილები დაიკავეს ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთში — III ადგილი ხვდათ, ხოლო მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ყველას აჯობეს.

კომპლექსურ ჩათვლაში ინსტიტუტმა I ადგილი დაიკავა.

იმავე წელს ინსტიტუტის ორი თანამშრომელი — მ. თუშიშვილი და ა. მშვენიერაძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კალათბურთელთა ნაკრებში შეიყვანეს. ამ გუნდმა კიევში გამართულ საკავშირო პირველობაში აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების წარმომადგენელთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა.

ინსტიტუტის დირექცია და პროფკავშირული ორგანიზაცია დიდ დახმარებას უწევენ ფიზკულტურულ საბჭოს, შარშან პროფკავშირულმა ორგანიზაციამ სპორტული ინვენტარის შესაძენად 300 მანეთი გამოყო.

ყოველწლიურად ეწყობა სპორტული კვირეული ბაკურიანში, სადაც ტარდება სხვადასხვა შეჯიბრება. შარშან სექტემბერში მოეწყო ტურისტული ლაშქრობა არმაზში, რომელშიც 25 თანამშრომელი მონაწილეობდა. ხეობაშივე გაიმართა შეჯიბრებები ბადმინტონში, ხელბურთში, ფეხბურთში.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დირექცია და პროფორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ინსტიტუტის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისთვის სპორტული დარბაზის გამოყოფის საქმეს, რაც ძალიან უშლის ხელს სისტემატურ ვარჯიშს, ზამთრობით ფიზკულტურელები საშუალო 120-ე საშუალო სკოლის დარბაზში ვარჯიშობენ, როცა ამის შესაძლებლობა მიეცემათ. წლეულს სპორტული მოედანიც გამოუყენებელია, რადგან იქ მშენებლობა მიმდინარეობს. ვიმედოვნებთ ინსტიტუტის ახალი კორპუსის აგების შემდეგ სპორტსმენთა წინაშე უფრო ფართო ასპარეზი გადაიშლება.

ცისანა სულაბერიძე.

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასის ისტორიიდან

პირველიდან მეექვსემდე

სსრ კავშირის თასის გათამაშებათა ისტორიაში თბილისის „დინამო" მეექვსედ გადის გადამწყვეტ ეტაპზე — ფინალში საბრძოლველად.

ისტორია მუდამ იწვევს ინტერესს. ამიტომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ფეხბურთის მოყვარულებს შევახსენოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა წინა ხუთ ფინალში თამაში, რა შემადგენლობით გამოდიოდნენ დინამოელები.

1936 წელი

თასის I გათამაშება

თბილისელთა პირველი მეტოქე თასის გათამაშების მატჩებში იყო ბათუმის თანაკლუბელთა გუნდი. ამ მატჩის მოგების შემდეგ (2:0) თბილისის „დინამომ" დაამარცხა ბაქოს „ტემპი" — 3:2, სტალინგრადის „ტრაქტორი" — 3:1, მოსკოვის „სპარტაკი" — 3:3, 6:3 და ნოგინსკის „კრასნოე ზნამია" — 5:1.

ფინალში 28 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე, თბილისელები ადგილობრივ „ლოკომოტივს" შეხვდნენ.

მატჩის დასაწყისში დინამოელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა ვერ გამოიყენეს, მე-18 წუთზე კი „ლოკომოტივის" საპასუხო იერიში გოლით დაამთავრა სოკოლოვმა — 1:0. გავიდა 5 წუთი, რკინიგზელმა ლავროვმა კიდევ ერთხელ აიღო „დინამოს" კარი და ანგარიში 2:0 ბოლომდე უცვლელი დარჩა. თასის პირველი მფლობელი გახდა მოსკოვის „ლოკომოტივი".

თბილისის „დინამოს" შემადგენლობა ფინალში ასეთი იყო: დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, ბ. ბერძენიშვილი, ანიკინი, პანინი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ასლამაზოვი, სომოვი.

1937 წელი

თასის II გათამაშება

გზა ფინალისკენ თბილისის „დინამომ" ასე განვლო: „ზენიტი" (ტაგანროგი) — 9:1, „სპარტაკი" (ერევანი) — 4:1, „ნეფტიანიკი" (ბაქო) — 3:2, „ლოკომოტივი" (თბილისი) — 4:0, „დინამო" (კიევი) — 2:1, ცდკა — 1:0.

ფინალში (16 ივლისი) თბილისელებთან ერთად გავიდნენ მოსკოვის დინამოელები. ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა ვ. ბერძენიშვილმა, 2 წუთის შემდეგ კი სმირნოვმა საპასუხო გოლი გაიტანა პენალტით — 1:1. შემდეგ სემიჩასტნიმ კიდევ ორჯერ აიღო თბილისელთა კარი და გუნდები ასე წავიდნენ შესვენებაზე.

მეორე ტაიმში მოსკოველთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც კარგად გამოიყენა მ. ბერძენიშვილმა. თამაშში თითქოს გარდატეხა უნდა მომხდარიყო, ვინაიდან თბილისელები საკმაო ხანს უტევდნენ და რამდენიმე საგოლე მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ ეს მომენტები ვერ გამოიყენეს. მატჩის დასასრულს მასპინძლებმა კვლავ ხელთ იგდეს უპირატესობა და კიდევ უფრო განამტკიცეს გამარჯვება — 5:2 (სემიჩასტნი, ილინი).

თბილისელებმა ფინალში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, შინაევი, გაგუა, გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ვ. ბერძენიშვილი, ასლამაზოვი. მწვრთნელი — ა. სოკოლოვი.

1946 წელი

თასის VII გათამაშება

თბილისის „დინამოს" პირველი მეტოქე იყო მინსკის თანაკლუბელთა გუნდი. გამარჯვებას დასჭირდა ორი მატჩი — 0:0 და 2:0. შემდეგ თბილისის დინამოელებმა დაამარცხეს მოსკოვის „დინამო" — 2:1, მოსკოვის „ტორპედო" — 2:1.

20 ოქტომბერს შედგა ფინალური მატჩი: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი). იგი ერთობ დრამატულად წარიმართა. მე-19 წუთზე დაწინაურდნენ სპარტაკელები (კონოვი), შემდეგ ღოღობერიძემ და ანთაძემ წინ გაიყვანეს „დინამო" — 2:1, ტაიმის ბოლოს კი გლაზკოვმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

მეორე ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია მიზანს და საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. აქ ტიმაკოვის დარტყმამ თამაშის ბედი „სპარტაკის" სასარგებლოდ გადაწყვიტა — 3:2.

თბილისელთა შემადგენლობა ასეთი იყო: იოსელიანი, ფეხლევანიდი, სალდაძე, კიკნაძე, სარჯველაძე, გაგუა, ანთაძე, ღოღობერიძე, პაიჭაძე, ბერეჟნოი, პანიუკოვი (ხარბედია). მწვრთნელი — ა. ჟორდანია.

1960 წელი

თასის XIX გათამაშება

ეს იყო სსრ კავშირის თასის ერთადერთი გათამაშება, რომელსაც ორი წელი დასჭირდა: იგი დაიწყო 1959 წლის მაისში და დამთავრდა 1960 წლის 31 ოქტომბერს. თბილისელებმა ჯერ მოუგეს კიევის „დინამოს" — 4:3, მერე — მოსკოვის „სპარტაკს" — 2:1, ლენინაკანის „შირაკს" — 5:1 და დონეცკის „შახტიორს" — 2:1.

ფინალური მატჩი მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოსკოვის „ტორპედოსთან" შეუდარებელ სანახაობას წარმოადგენდა, თუმცა, კიეველი არბიტრის ა. ცაპოვეცკის მიკერძოებულმა, არაობიექტურმა მსაჯობამ გარკვეული გავლენა იქონია მის შედეგზე.

დაწინაურდნენ ტორპედოელები — 26-ე წუთზე გუსაროვმა გამოიყენა პენალტი. გოლი გაქვითა ბარქაიამ, შემდეგ გუსაროვმა კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი, კალოევმა აღადგინა თანაფარდობა, 78-ე წუთზე ივანოვმა მესამე ბურთი გაიტანა, მელაშვილმა კი კვლავ გაათანაბრა ანგარიში — 3:3.

დამატებით დროში დინამოელებს წარმატების მრავალი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ეს მომენტები ვერ გამოიყენეს, ბოლო წამებში კი ივანოვმა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა — 4:3.

„დინამოს" შემადგენლობაში იყვნენ: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, ჩოხელი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი. მწვრთნელი — ა. ჟორდანია.

1970 წელი

თასის XXIX გათამაშება

ამ წელს ბრძოლა თასისთვის ახალი სისტემით წარმოებდა: მეტოქეები ორჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს — საკუთარ და მოწინააღმდეგის მინდვრებზე.

თბილისის „დინამომ" დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი" — 1:0, 4:2, ქუთაისის „ტერპედო" — 0:0 და 1:1 (ეს გოლი ქუთაისელთა მინდორზე იქნა გატანილი). მეოთხედფინალში და ნახევარფინალში იმართებოდა თითო მატჩი. თბილისელებმა მოუგეს ოდესის „ჩერნომორეცს" — 2:1 და ბაქოს „ნეფთჩის" — 1:0.

8 აგვისტოს მოსკოვში, ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მოსკოვის დინამოელები. ანგარიში გახსნა ეშტრეკოვმა, ხოლო შესვენების შემდეგ ევრიუჟიხინმა მეორე გოლი გაიტანა. თბილისელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ შეამცირეს განსხვავება ანგარიშში (ხინჩაგაშვილი) — 1:2.

თბილისელებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე (ილიადი), ხურცილავა, ცხოვრებოვი (ხინჩაგაშვილი), პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გ. ნოდია, გავაშელი. მწვრთნელი — გ. ჩოხელი.

გზა ფინალამდე

„დინამო" (თბილისი)

თბილისელთა პირველი მეტოქე თასის წლევანდელ გათამაშებაში იყო ზაპოროჟიეს „მეტალურგი". მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს დინამოელებმა — 5:4.

მერვედფინალში ჩვენმა გუნდმა დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტი" — 3:0.

მეოთხედფინალში „დინამომ" მოუგო ლვოვის „კარპატის" — 2:1.

ნახევარფინალში თბილისელებმა დონეცკში სძლიეს „შახტიორს" — 2:0.

„არარატი" (ერევანი)

ერევნელებმა თასისთვის ბრძოლა დაიწყეს როსტოვის არმიელებთან შეხვედრით და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

მერვედფინალში „არარატმა" მოსკოვში დამატებით დროში მოუგო „ლოკომოტივს" — 1:0.

მეოთხედფინალში ერევნელებმა შინ მიიღეს ცსკა და გაიმარჯვეს — 2:1.

ნახევარფინალში „არარატმა" თავის მინდორზე დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" — 2:1.

„დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი)

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელი და ერევნელი ფეხბურთელები ძველ მეტოქეებად ითვლებიან, ისინი გუშინდლამდე სულ ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს სსრ კავშირის თასის გათამაშებებში.

პირველად ეს მოხდა 1937 წელს (მაშინ ერევნელები „სპარტაკის" სახელწოდებით გამოდიოდნენ). დინამოელებმა იოლად სძლიეს მეტოქეს — 4:1.

1944 წელს თბილისის „დინამოს" თამაშის ჩაუტარებლად ჩაეთვალა გამარჯვება ერევნის „დინამოსთან".

1971 წელს გათამაშება მიმდინარეობდა 2-მატჩიანი სისტემით. თბილისელები და ერევნელები ერთმანეთს შეხვდნენ მერვედფინალში. პირველი თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0, მეორე მოიგეს დინამოელებმა — 2:1.

1975 წელს „არარატმა" პირველ გამარჯვებას მიაღწია თასის მატჩში თბილისელებთან. შეხვედრა ერევანში დამთავრდა ანგარიშით 3:1.



უსიტყვოდ

მ. მეძლიშვილის ნახატი.

სამგორის სპარტაკიადა

✦ თბილისი

დამთავრდა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყება „სამგორის" სპარტაკიადა. პროგრამაში შედიოდა 7 სახეობა: მძლეოსნობა, ცურვა, ტყვიის სროლა, ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი და ტურიზმი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ხუთი საამქროს 143 სპორტსმენი. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მეორე საამქროს წარმომადგენლებმა.

ი. ხაბეიშვილი.

დიდი სპორტის სათავე

ათასობით კუბელი ბიჭი და გოგონა, ჭაბუკი და ქალიშვილი მონაწილეობდა სასკოლო და ჭაბუკთა თამაშებში. ამგვარი სპორტული შეჯიბრებები თავისუფლების კუნძულზე მხოლოდ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ტარდება და თითქმის ყველაზე მასობრივი დღესასწაულია ამ ქვეყანაში. სპორტის 20 სახეობაში 7500-მდე ბავშვი ასპარეზობდა.

ბევრმა დღეს საქვეყნოდ ცნობილმა კუბელმა სპორტსმენმა დიდ სპორტში გზა სწორედ ამ შეჯიბრებებიდან გაიკაფა. მათ შორის უნდა დავასახელოთ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი სილვიო ლეონარდი, მსოფლიო რეკორდსმენი, ძალოსანი რობერტო ურუტია, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 400 და 800 მეტრზე რბენაში ალბერტო ხუანტორენა.

(საკდესის კორ.).

ჰავანა.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)

6 სექტემბერი

სათადარიგო შემადგენლობანი დასაწყისი 19 ს.

7 სექტემბერი

ძირითადი შემადგენლობანი დასაწყისი 19 ს.

ბილეთების გაყიდვა: ორგანიზაციებში — 5 სექტემბერს, საერთო გაყიდვა — „ლოკომოტივის" სტადიონის სალაროებში 6 და 7 სექტემბერს დილის 10 საათიდან.

ტურიზმის შესანიშნავი კერა

ტურიზმი მშრომელთა დასვენების საუკეთესო საშუალებაა. მას მილიონობით ადამიანი მისდევს. ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოვდება ტურისტულ-საექსკურსიო მარშრუტები. გამონაკლისი არც ონის რაიონია. შოვის ტურბაზა (დირექტორი გ. ჩაგელიშვილი) ულამაზეს ადგილზეა განლაგებული. ალპური საძოვრები, ყინულოვანი ზეკარები, მდინარეები, მთის ყვავილები, ცადაზიდული მთები ხიბლავს საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს. წლევანდელი ტურისტული სეზონი 1 ივნისს გაიხსნა. შოვის ტურბაზა მომზადებული შეხვდა ამ დღეს. მადლობის სიტყვებითაა სავსე შთაბეჭდილებათა წიგნი. სტუმრები 97 ლამაზად ნაგებ კოტეჯში ისვენებენ. ტურბაზას აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, 300-ადგილიანი ფართოეკრანიანი კინოდარბაზი, სპორტული მოედანი, საბავშვო ატრაქციონები, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის სათამაშო ადგილები.

რეგულარულად ეწყობა საინტერესო ექსკურსიები.

ტურბაზის ცხოვრებაში სიახლეც არის: აქვთ საგზურები ბავშვიანი ოჯახებისთვის. გარდა ამისა, რაიონის ცენტრში შენდება 200-ადგილიანი ტურბაზა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მშრომელთა დასვენებას.

წლეულს ტურბაზა 10200 ტურისტს უნდა მოემსახუროს.

ნ. დუშუაშვილი.

• • •

სურათზე: შოვის ტურბაზის ახალი კორპუსის ხედი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, კადრების — 93-97-51, წერილების — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02464